თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7278912

ნომერი: AR11064144

თარიღი : 31.10.2024

გაცემის თარიღი : 07.11.2024

გაცნობის თარიღი : 07.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაალ ნიჟარაძე პ/ნ 01026001513
- ცხვედაძის ქ. 16ბ

ორგანიზაცია:
- შპს "კოხტა უბანი" კოდი: 404893674

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 31 ოქტომბერს №AR11064144 განცხადებით მომართა ზაალ ნიჟარაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანებით შეთანხმდა №01.11.12.015.196 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 24 ოქტომბრის №7263628 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 24 ოქტომბრიდან 2025 წლის 01 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანებით შეთანხმებულ ფოტომონტაჟზე ტექნიკური შეცდომის შედეგად გამორჩენილია +0.00 ნიშნულზე „ა“ ღერძის მიმდებარედ „3-4“ ღერძებში არსებული დამხმარე ფართის კედლის აღნიშვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის ჩანაცვლებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმის და ფასადების მიხედვით 0.00 ნიშნულზე „ა“ ღერძის მიმდებარედ „3-4“ ღერძებში მდებარეობს კედელი, რომელიც ტექნიკური შეცდომის შედეგად არ იქნა ასახული ამავე ბრძანებით შეთანხმებულ ფოტომონტაჟზე, რაც წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ ფოტომონტაჟზე გასწორებულია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანებაში და 2024 წლის 12 სექტემბრის №AR11057089 განცხადებაზე წარმოდგენილი „კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები“-ს ველში ატვირთული ფოტომონტაჟი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ფოტომონტაჟით (pdf ფაილის პირველი გვერდი).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7259354 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.